ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1847505

ნომერი: AR1302291

თარიღი : 17.04.2015

გაცემის თარიღი : 20.04.2015

გაცნობის თარიღი : 20.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 160 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომანი ბზიავა პ/ნ 01019002879
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 1 ბ. 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2015წ. №1835577 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17/04/2015წ.

#AR1302291 განცხადებით მომართა რომანი ბზიავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 14.04.2015წ. №1835577 ბრძანებაში ხარვეზის გასწორება მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2015წ. №1835577 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა #160–ში, შ.პ.ს. ,,ატლასი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: N01.12.12.004.036) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელისახლის კორექტირებული არქიტექტურულიპროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 14.04.2015წ. №1835577 ბრძანებაშიარასწორად დაფიქსირდა ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობად 4069.6 კვ.მ.–ს ნაცვლად მითითებულია 4039.6 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართად 365.2 კვ.მ.–ს ნაცვლად მითითებულია 335.2 კვ.მ.

საქართველოსზოგადიადმინისტრაციულიკოდესის59-ე მუხლისთანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტშიტექნიკურიშეცდომისგასწორებისუფლებააქვსმისგამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2015წ. №1835577 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 4069.6 კვ.მ. კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად – 365.2 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2015წ. №1835577 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.